წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

N 1 10 13/01/2016

მიწის ნაკვეთის (ს.კ. 85.21.26.351) და მასზე დამაგრებული შენობა ნაგებობის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის უსასყიდლო 10 წლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით გადაცემის თაობაზე წალკის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის თანახმად და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების გათვალისწინებით,

1. წალკის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს თანხმობა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 85.21.26.351) და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო 10 წლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით გადასცეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

2. ამ განკარგულების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს „მიწის ნაკვეთის (ს.კ. 85.21.26.351) და მასზე დამაგრებული შენობა ნაგებობის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის უსასყიდლო 10 წლიანი უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემის თაობაზე წალკის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 სექტემბრის #43 10 განკარგულება.

3. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. #11) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

ი. გიგინეიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე